ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №17

ქ. თბილისი 27.12.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას" დირექტორი
9. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.
10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ -განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
11. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა) - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორი

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ფეტვიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უქრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**ლალი შაიშმელაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი.

**რამაზ გიუნაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**ნათია მჭედლიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

**მზია ყანჩელი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს თამარიონ +**

აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი გიორგაძე

ხარისხის მართვის მენეჯერი- თამარ უთნელიშვილი

**შპს პოლიგლოტი**

დირექტორი - მზია დაუშვილი

სკოლის წარმომადგენელი - ანა ჯავახიშვილი

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი

დირექტორი - ცისიერ დიღმელაშვილი

სკოლის წარმომადგენელი - ლია ოთარაშვილი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზია

დირექტორი - მარკოზ ბულიხია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი

დირექტორი - თეიმურაზ ცაკაშვილი

ა(ა)იპ-ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა

იურისტი - ნინო ტავლალაშვილი

დირექტორის მოადგილე - პირიმზე რურუა

ფინანსური კონსულტანტი - კახა ხელაძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს თამარიონ +

რუსუდან თედორაძე

ლელა ჯაში

შპს პოლიგლოტი

ცირა ნიკოლაშვილი

იზაბელა იოსელიანი

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი

ლია კობესაშვილი

გულნარა ხაბურზანია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზია

დავით ლიპარტელიანი

ინგა ლომაძე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი

ნინო ბალანჩივაძე

მაკა ჭიაბერაშვილი

ა(ა)იპ-ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა

ნანა მონიავა

მარინე ჯანაშვილი

ნანა ედიშერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 15:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს თამარიონ + ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ-ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს გააცნო შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომლის

მიხედვითაც სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმისა და ა(ა)იპ- ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის საკითხების განხილვა გადმოეტანათ პირველ და მეორე საკითხად. საბჭო ერთხმად დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ-ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თამარიონ + ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. სჯს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს ექსპერტებმა: ლია კობესაშვილმა და გულნარა ხაბურძანიამ.

1.1. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაციები. ექპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მატერიალურ რესურსში არსებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოკლედ აღწერა სკოლის ტერიტორიაზე არსებული ვითარება. ლ.კობესაშვილის განმარტებით სკოლას ეკავა ორსართულიანი შენობის პირველი სართულის ნაწილი და მეორე სართული მთლიანად. პირველი სართულის ნაწილში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი. შენობას ჰქონდა ეზო, რომლითაც სარგებლობდა როგორც სკოლა, ასევე საბავშვო ბაღი. სკოლისა და საბავშვო ბაღის ეზოს ფართი ოფიციალურად გამიჯნული არ იყო. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას საჯარო რეესტრის ამონაწერი ჰქონდა 2012 წლის და განახლებული ვერსია არ ჰქონდათ ნანახი ვიზიტის პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში არსებული მერხების რაოდენობა არ იყო საკმარისი, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 120 მოსწავლით, ხოლო საკლასო ოთხებში განთავსებული მერხების რაოდენობა შეადგენდა 56 ერთადგილიან და 51 ორადგილიან მერხს (ჯამში 107 ), რომელიც ვერ დააკმაყოფილებდა ინდივიდუალური მერხებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ექსპერტის განმარტებით დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკა თავისი რესურსებით და სამკითხველო დარბაზის სივრცის სიმცირით ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეების მომსახურებას. ექსპერტის თქმით ბიბლიოთეკის ფართიდან გამომდინარე საბიბლიოთეკო სივრცეში მოსწავლეებისათვის სამუშაო მაგიდების განთავსება შეუძლებელი იყო. დაწესებულებას II-VII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები არ ჰქონდა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი. ასევე არ იყო ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ლ.კობესაშვილის განმარტებით დაწესებულებას ჰქონდა 4 კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი, სასწავლო მიზნებისთვის

განკუთვნილი 4 კომპიუტერი განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში და ჩართული იყო ინტერნეტში. ნოუთბუქით სამასწავლებლოში სარგებლობდა სკოლის ადმინისტრაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120-ს, აქედან გამომდინარე სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა. ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა.

ექსპერტმა ასევე განმარტა დაწესებულებაში ვიდეო მეთვალყურეობის კამერებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზის შესახებ. მისი თქმით, ძირითად შესასვლელში დამონტაჟებული იყო ორი უსაფრთხოების კამერა, ხოლო სათადარიგო შესასვლელში ერთი. აღნიშნული კამერები სავალი გზის ნაწილს ვერ აკონტროლებდნენ. ასევე ექსპერტის განმარტებით გარე პერიმეტრის გასაკონტროლებელი კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა, ვერ დადგინდა კამერების სპეციფიკაციები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სამეთვალყურეო სისტემის ერთ-ერთი მონიტორი ვიზიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა და ასევე სკოლის შენობაში დამონტაჟებული ვიდეო კამერები, სკოლის შენობის შიდა პერიმეტრს სრულად ვერ აკონტროლებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს სკოლისათვის განესაზღვრათ 60 კალენდარული დღე ყველა ხარვეზის გამოსასწორებლად და ცენტრში წარსადგენად.
ამის შემდეგ საბჭო სხდომაზე განიხილავდა და მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

**2. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს ექსპერტებმა: ნანა მონიავამ, მარინე ჯანაშვილმა და ნანა ედიშერაშვილმა.

2.1. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ აღნიშნული სკოლა იცვლიდა სამართლებრივ ფორმას და ფუძნდებოდა, როგორც ,,ა(ა)იპ" - ი. საბჭოს წევრმა - დავით ჭეიშვილმა დასვა კითხვა, ხომ არ ატარებდა სკოლა ორ სტატუსს, რაზეც სკოლის იურისტმა განმარტა, რომ აღნიშნული სკოლის დამფუძნებელი იყო საპატრიარქო და სწორედ მან მიიღო გადაწყვეტილება, სკოლის სამეწარმეო ფორმის ცვლილების შესახებ. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სკოლამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ,,შპს" გაეტარებინა ლიკვიდაციაზე და მხოლოდ ამის შემდგომ გაევლო ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ახალ იურიდიულ პირს. თუმცა ,,შპს" განაგრძობდა ფუნქციონირებას, მაგრამ სანამ ,, ა(ა)იპ" -ს არ მიენიჭებოდა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ვერ მოხდებოდა ,,შპს" - ს ლიკვიდაციის საკითხის დაყენება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ,,შპს" - ს ოთხი წლის ვადით მინიჭებული ჰქონდა ავტორიზაცია, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა ხელშეკრულება იყო წინარე ფორმით შედგენილი, მათ შორის ქონების გადაცემისა და პედაგოგებსა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. იმისთვის, რომ ,,ა(ა)იპ"-ს დაეკმაყოფილებინა ავტორიზაციის მინიჭებისთვის დადგენილი მოთხოვნები, საპატრიარქოსთან გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები ქონების გადაცემის თაობაზე იმ პირობით, რომ ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის მიერ ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში მოხდებოდა საპატრიარქოს მხრიდან სკოლისთვის ქონების გადაცემა. ექსპერტის თქმით, ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე იგი პერიოდულად ცენტრის წარმომადგენლებისგან იღებდა იურიდიულ კონსულტაციებს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნდა მომხდარიყო გარკვეული დათქმა, რათა ავტორიზაციის გავლისთანავე საპატრიარქოს მხრიდან უპირობოდ განხორციელდებოდა სკოლისთვის ქონების გადაცემა. სკოლის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საბანკო ვალდებულებების გამო 2011 წელს ვერ მოხდა ,,შპს" - დან ,,ა(ა)იპ" - ის სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა, რაც საპატრიარქოს სკოლების უმრავლესობამ განახორციელა. ასევე დასძინა, რომ საგანმანათლებლო პროცესის

უწყვეტობის თვალსაზრისით, ასეთი ფორმა იყო სკოლისთვის მისაღები, რათა არ მომხდარიყო მოსწავლეთა დატოვება სწავლების მიღმა.

ექსპერტმა აღნიშნა, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილის პრობლემა, რომელიც ვიზიტის დროს იქნა აღმოფხვრილი.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, როგორ აპირებდა სკოლა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან მოსწავლეთა ბაზების საკითხის მოგვარებას, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მშობლებიც ინფორმირებულნი იყვნენ და ავტორიზაციის გავლის შემდგომ აღნიშნულ დაწესებულებას მიმართავდენ ერთიანი წერილით.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სკოლისთვის სტატუსის მინიჭების შემდეგ გარკვეულ ვადაში საჭირო იყო დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა, რაზეც სკოლის იურისტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საგანმანათლებლო სტატუსის მინიჭების შემდგომ საპატრიარქო მიმართავდა საჯარო რეესტრს ,,შპს“ - თვის თხოვების ხელშეკრულების მოშლაზე და ახალი თხოვების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნით. ყველა ახალ დოკუმენტს კი სკოლის წარმომადგენელი 60 დღის ვადაში ცენტრში გადმოგზავნიდა. მის მოსაზრებას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და შეჯერდნენ ერთიან აზრზე, რომ მონიტორინგის პროცედურა სკოლაში აღარ განხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ორი საკითხი:

1. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, მე - 15 მუხლის მე - 3 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010

წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე - 9 პუნქტის საფუძველზე შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას ს/კ: 245445610 გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას (ს/კ:445564862) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300- ით.

## 3. შპს თამარიონ + - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3.1. ექსპერტ რუსუდან თედორაძის განცხადებით დაწესებულებაში მონტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში აღმოჩნდა შეუსაბამობები და ხარვეზები.

სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლის დროს ექსპერტმა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ თავფურცლის შემდეგ , დოკუმენტის შინაარსი იდენტური იყო იმ სასწავლო სასკოლო გეგმის, რომლითაც დაწესებულებამ მოიპოვა ავტორიზაცია, კერძოდ: შესავალი ნაწილი 2017-2018 სასწავლო წლითაა დათარიღებული; სახელმძღვანელოების ნუსხაში წარმოდგენილი იყო ძველი გრიფირებული სახელმძღვანელოები. მაგ. საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები, რომელიც 2018-2024 წ.ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით აღარ ისწავლებოდა.სკოლის აკადემიური კალენდარში არდადეგები და უქმე დღეები 2017-2018 სასწავლო წლის მიხედვითა იყო გაწერილი სასწავლო წლის საათობრივი ბადე 2017-2018 სასწავლო წლით თარიღდებოდა.შეტანილი იყო აბიტურის საათები, რომელიც ახალი 2018-2024წ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუქმებული იყო.სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოცდების ტიპებიდან მითითებული იყო სკოლის გამოსაშვები გამოცდა, რომლის საფუძველზე მოსწავლეს უნდა მიეღო ატესტატი. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო მითითებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, კლასების და საგნების მითითებით; საათობრივ ბადეში საგნების ჩამონათვალი უმეტესწილად ლათინური შრიფტითა იყო დაბეჭდილი.

ექსპერტთა ჯგუფი ამ ხარვეზების თაობაზე გაესაუბრა შპს „თამარიონ+"-ის დირექტორს და ხარისხის მართვის მენეჯერს, მათ განმარტეს, რომ სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმა შეცვალა 23 ოქტომბერს და დოკუმენტი წარმოდგენილი იყო შეცდომით. ექსპერტთა ჯგუფმა

გაითვალისწინა მათი განმარტება და მოითხოვა წარმოედგინათ შეცვლილი და მისი წინამორბედი დოკუმენტი მიმდინარე დღის სამუშაო პროცესში. 24 ოქტომბერს, სამუშაო დღის ბოლომდე არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტი. 25 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ადმინისტრაციამ წარმოადგინა თითქოს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა მაგრამ ამჯერად, გეგმის თავფურცელიც და დანართიც ისევ ძველი რედაქციით. ამის შემდგომ ექპერტთა ჯგუფმა ადმინისტრაციას მოსთხოვა პედსაბჭოს ოქმი, რომლის თანახმადაც მოხდა ცვლილებების შეტანა სსგ-ში, რაც ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა ზუსტად რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას. ვიზიტის დროისათვის სკოლაში ელექტრონული ბაზით ირიცხებოდა 57 მოსწავლე, რეალურად სასკოლო ჟურნალში დაფიქსირებული იყო 58 მოსწავლე.

Eschool - ის ბაზის და სკოლის ჟურნალების შედარებისას, გამოიკვეთა, რომ:მე-3 კლასში ბაზაში ირიცხებოდა ორი მოსწავლე, ხოლო სასკოლო ჟურნალში იყო 3 მოსწავლის მონაცემი. ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლის მობილობის პროცესი მიმდინარეობდა, თუმცა, ჩარიცხვის ბრძანება არ იყო დაწერილი. ასევე, მე -7 კლასში მოსწავლე ირიცხებოდა ბაზაში, მაგრამ, რეალურად ეს მოსწავლის მონაცემები დაფიქსირებული იყო მე -8 კლასის ჟურნალში.

მე-12 კლასში, eschool - ის ბაზაში ირიცხებოდა მოსწავლე, რომელიც ჟურნალში არ ფიქსირდებოდა და სკოლის დირექციის განმარტებით, ამ მოსწავლეს საშუალო საფეხური დასრულებული ჰქონდა 2018-2019 სასწავლო წელს. სკოლამ წერილით მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსს, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2018 წლის 29 აგვისტოს შპს ,,თამარიონ+“ - ის მე -10 კლასში ჩაირიცხა ეს მოსწავლე. აღნიშნულმა მოსწავლემ ამავე წლის 8 -14 სექტემბერს წარმატებით ჩააბარა ექსტერნატის წესით გამოცდები და დაძლია მე-10 და მე-11 კლასების ესგ- ით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა და ჩაირიცხა მე -12 კლასში და დაძლია საშუალო საფეხური. დირექციის განმარტებით, მოსწავლეს რეალურად დაძლეული ჰქონდა საშუალო საფეხური.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა სკოლის სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომლის დროსაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, მასწავლებელთა პირად საქმეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო განცხადება, CV, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ არცერთ პედაგოგს არ ედო საქმეში განცხადება, CV ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელს. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ იყო დამოწმებული ნოტარიული წესით, არ იყო მასწავლებლის განცხადება სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით. რითაც დარღვეული იყო ,როგორც ერთიანი საქმისწარმოების წესი, ასევე სკოლის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი შინაგანაწესის მოთხოვნაც. მხოლოდ 3 პედაგოგის საქმეში იყო ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო მძიმე და თითქმის ყველა პუნქტი იყო დარღვეული.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და დაწესებულებას მიეცა 60 დღიანი ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად იმ პირობით, რომ თუ 60 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დაწესებულება არ გამოასწორებდა ყველა ხარვეზს, სკოლას გაუუქმებდნენ ავტორიზაციას.

## 4. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი შპს თბილისის არქიმედეს სკოლასთან დაკავშირებით, რის გამოც მოითხოვა აცილება. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, და ცირა ნიკოლაშვილმა და იზაბელა იოსელიანი. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით შპს „პოლიგლოტის" საკუთრებაში იყო 1800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, გუდამაყრის ქ. N4-ში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის (07/07/2010) თანახმად, მასზე განთავსებული იყო შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობით - 298 კვ.მ. შპს „პოლიგლოტის" მიერ 2015 წელს განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად შენობას დაემატა მესამე სართული. რეკონსტრუქციის შედეგად შენობის საერთო ფართი შეადგენდა 983.32 კვ.მ. შენობა მიღებული იყო ექსპლუატაციაში 05/11/2015 წელს.

შპს სკოლა „პოლიგლოტს", 04.09.2015 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 5 წლის ვადით; მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განსაზღვრული იყო 300 - ით

04.09.2015 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესის განხორციელების უფლება დაწესებულებამ მიიღო 983 კვ.მ. ფართის მქონე შენობაში.

ექსპერტის თქმით, მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ შპს „პოლიგლოტმა“ საკუთრებაში არსებულ ფართობზე, მიმდინარე წელს , ახალი, სამსართულიანი, 1135 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა ააშენა. აღნიშნული შენობა, მონიტორინგის ვიზიტის დროს, არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული. დაწესებულებას სასწავლო ფართის ცვლილების შესახებ განაცხადით არ მიუმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის, რის ვალდებულებაც მას გააჩნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება N99/ნ, მუხლი 30² - ის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ მიმართა შესაბამის სამსახურებს და მიმდინარეობდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების პროცედურა და საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა დაწესებულებისთვის განესაზღვრა 60 დღიანი ვადა, რა პერიოდშიც წარმოადგენდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ საბჭოს წევრებისთვის მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეების უსაფრთხოება და თუ შესაბამისი სამსახურების მხრიდან არ ხერხდებოდა 60 დღიან ვადაში შენობის ექსპლუატაციაში მიღება, საბჭოსთვის დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ლიცენზირებული ექსპერტის დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ შენობაში მოსწავლეების განთავსება უსაფრთხო იქნებოდა.

საბჭომ იმსჯელა და დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა და დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი შპს თბილისის არქიმედეს სკოლასთან დაკავშირებით, რის გამოც მოითხოვა აცილება. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა დავით ლიპარტელიანმა და ინგა ლომაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ დავით ლიპარტელიანის განცხადებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას აღმოჩნდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ ცენტრში წარმოადგინა მათი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტის თქმით, დარჩენილი იყო ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა საპირფარეშოების მშენებლობას და მოწყობას.

გიმნაზიის პირველ სართულზე მოწყობილი იყო 2 სველი წერტილი: ვაჟებისთვის და გიმნაზიის თანამშრომლებისთვის. თანაშრომელთათვის განკუთვნილ სველ წერტილში იყო საყრდენი მოაჯირი ეტლით მოსარგებლე პირთათვის. თუმცა შიდა სივრცე არ იძლეოდა ეტლით თავისუფლად გადაადგილების და მობრუნების შესაძლებლობას. დაწესებულებას ვიზიტის პროცესში არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე არც მოსწავლე და არც თანამშრომელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების ეზოში იდგა შენობა, რომელშიც განთავსებული იყო სველი წერტილები ვაჟებისთვის და გოგონებისთის. აღნიშნული სველი წერტილების ჰიგიენური

მდგომარეობა ვერ ჩაითვლებოდა დამაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს ჩანდა, რომ დასუფთავება ხდებოდა, თავად საპირფარეშოების მდგომარეობა არ იძლეოდა ჰიგიენური ნორმების დაცვის შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იმ შენობაზე, რომელშიც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, გარედან მოეწყობოდა სველი წერტილები გოგონებისთვის. ვიზიტის დროს აღნიშნული სივრცე იყო ამოშენებული და გააჩნდა კარი, ასევე შეყვანილი იყო წყლის და საკანალიზაციო მილები. თუმცა საპირფარეშო ჯერ არ იყო მოწყობილი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ამავე ადგილას მოეწყობოდა ადაპტირებული სველი წერტილიც და იანვრის ბოლომდე დაასრულებდნენ საპირფარეშოების მშენებლობას და მათ მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდებლური გიმნაზიის (ს/კ: 429649044) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა:

6.1. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს ექსპერტებმა: ნინო ბალანჩივაძემ და მაკა ჭიაბერაშვილმა.

ქალბატონმა ნინო ბალანჩივაძემ საკითხის განხილვის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სკოლას მომდევნო წელს უწევდა რეავტორიზაციის გავლა და ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაციები სკოლამ სრულად გაითვალისწინა.

ექპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მატერიალურ რესურსში არსებულ ხარვეზებზე, მოძრაობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთათვის შენობის სათადარიგო კიბის უჯრედის პირველ სართულზე სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა მხოლოდ ერთი ასაკეცი პანდუსი. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლა ეტაპობრივად დაამონტაჟებდა ასაკეც პანდუსს, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ მოსწავლეს მიცემოდა შესაძლებლობა სასწავლო პროცესში ჩართულიყო თანაბრად.
გარდა ამისა, სკოლის შენობას არ ქონდა საკმარისის რაოდენობის ვიდეო თვალი, საგანმანათლებლო დაწესებულების გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდებოდა 5 ვიდეოკამერით, რომლებიდანაც 1 გარეპერიმეტრის კამერა იყო, ხოლო 4 - შიდა პერიმეტრისა. აქედან გამომდინარე, სკოლას დასამატებელი ჰქონდა გარე პერიმეტრზე თითო-თითო (სულ ჯამში ორი) ვიდეოკამერა;
რაც შეეხება შიდა პერიმეტრს, შენობა-ნაგებობის თითო სართულზე თითო ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული, მაგრამ სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვიდეოთვალის რაოდენობის გაზრდის თაობაზე სართულებზე, საკლასო ოთახებისა და დერეფნების განლაგების გათვალისწინებით, რათა შიდა პერიმეტრის რომელიმე მონაკვეთი ვიდეოკონტროლის გარეშე არ დარჩენილიყო. შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად ორი ვიდეო თვალი არ იყო საკმარისი და რითიც არ კონტროლდებოდა კიბის უჯრედები.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებები იყო ძველი, თუმცა საბჭოს წევრმა - დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ თუ პირი 30 თვეზე მეტხანს მუშაობდა დაწესებულებაში, ხელშეკრულება ითვლებოდა უვადოდ.

ექსპერტი აგრეთვე შეეხო ბიბლიოთეკის საკითხს და განმარტა, რომ სკოლაში ახალი სივრცე იყო გამოყოფილი ბიბლიოთეკისთვის, სადაც განთავსებული იყო გრიფირებული წიგნები, ხოლო დანარჩენი წიგნები იყო დაუმუშავებელი საბიბლიოთეკო წესით.

სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა დადგენილი სპორტის სახეობები და ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სპორტის სახეობების არჩევა ხდებოდა სპონტანურად. გარდა ამისა, ხორციელდებოდა რობოტექნიკის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა და ამისთვის სკოლას გააჩნდა შესაბამისი კაბინეტიც, მაგრამ პროგრამის წარმოდგენა სკოლამ ვერ შეძლო. აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული მე-9 და მე-11 კლასებისთვის არსებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაც და არც შესაბამისი ღონისძიებები ჰქონდა სკოლას დაგეგმილი, აღნიშნულ საკითხზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია და ადმინისტაციამ გამოსცა ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ. სკოლას ასევე არ ჰქონდა შეთანხმებული სამინისტროსთან საათობრივი ბადის 25 პროცენტიანი ცვლილება, რაზეც ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მიმღებლობასა და თანამშრომლობაზე.

სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბჭოზე მათ ხელთ ჰქონდათ ხარვეზების გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა - დავით ჭეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის ხარვეზები, რომლებიც ექსპერტებმა დააფიქსირეს ვიზიტის დროს, ახდენდა თუ არა უარყოფით გავლენას სასწავლო პროცესზე? ექსპერტმა - მაკა ჭიაბერაშვილმა დადებითად შეაფასა სკოლის სასწავლო პროგრამები და ასევე ისაუბრა რელიგიის სწავლების როლზე სკოლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონის (ს/კ:443854198) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 18:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**

დავით მალაზონია

**მდივანი**

თამილა ჩუბინიძე